IMF-ის რეგიონული შესაძლებლობების განვითარების ინიციატივები

შესაძლებლობების განვითარება (Capacity Development, CD) საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ) სამიდან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მანდატია. აღნიშნულ მიმართულებას სსფ-ის ბიუჯეტის 28% უჭირავს. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ ცენტრალური ბანკებისა და ფინანსთა სამინისტროების შესაძლებლობების გაძლიერებასა და მათ ეფექტურ პოლიტიკას შედეგად მოაქვს ქვეყნის ეკონომიკური სტაბილურობა და განვითარება. სწორედ ამ მიზნით, ანუ ამ უწყებების შესაძლებლობების განვითარებისთვის, ორგანიზაცია 50 წელზე მეტია თანამშრომლობს წევრ სახელმწიფოებთან.

ორგანიზაციას აქვს შესაძლებლობების განვითარების ცენტრების (Regional Capacity Development Centers, (RCDCs)) გლობალური ქსელი, რაც მას სახელმწიფოების შესაძლებლობების განვითარებაში ეხმარება. სსფ მუშაობს ქვეყნებთან, რათა გარდაქმნას და გააძლიეროს მათი ეკონომიკური ინსტიტუტები, გაუმჯობესოს ეკონომიკური მდგომარეობა და ფინანსური სტაბილურობა, შეამციროს სიღარიბე და ხელი შეუწყოს დასაქმებას.

ტექნიკური დახმარების გაწევით, კერძოდ, ექსპერტთა ვიზიტების (მოკლევადიანი და გრძელვადიანი მისიები), კრიტიკულ ეკონომიკურ საკითხებზე ტრენინგების განხორციელებითა და სხვა ინსტრუმენტების საშუალებით, სსფ ცოდნასა და გამოცდილებას უზიარებს ისეთ სახელმწიფო დაწესებულებებს, როგორებიცაა ფინანსთა სამინისტროები, ეროვნული ბანკები და სტატისტიკის სამსახურები, ძირითადად 4 თემაზე:

1. მონეტარული და ფინანსური პოლიტიკა (საბანკო სისტემა, ზედამხედველობა, რეგულაციები, ცენტრალური ბანკების სტრუქტურული განვითარება, საგარეო ოპერაციები, სხვ.);
2. ფისკალური პოლიტიკა (საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკა, ბიუჯეტის ფორმულირება, ხარჯების მართვა, საშინაო და საგარეო ვალების მართვა, სხვ.);
3. სამართლებრივი ჩარჩო (ეკონომიკური და ფინანსური სამართალი; ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზაცია საერთაშორისო სტანდარტებთან, რათა შემუშავდეს სრულყოფილი ფინანსური რეფორმები, სხვ);
4. სტატისტიკა (სტატისტიკური მონაცემების შეგროვება, მართვა, გავრცელება და გაუმჯობესება; მაკროეკონომიკური და ფინანსური მონაცემების ანგარიშგება).

ამჟამად, მსოფლიო მასშტაბით **17** რეგიონული ცენტრი არსებობს: აფრიკაში- **6**; აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში - **5**; ევროპასა და ცენტრალურ აზიაში - **1**; შუა აღმოსავლეთში - **2**; დასავლეთ ნახევარსფეროში (ლათინური ამერიკა) - **3**.[i] მასპინძელი ქვეყნებია: ავსტრია, ბარბადოსი, ჩინეთი, კოტ დ'ივუარი, ფიჯი, გაბონი, განა, გვატემალა, ინდოეთი, ქუვეითი, ლიბანი, მავრიკი, სინგაპური, ტანზანია, ტაილანდი და ბრაზილია. თითოეულ რეგიონში მდებარე ცენტრები ინაწილებენ და ფარავენ გარკვეული რაოდენობის ქვეყნებს.

მათი დაარსების ათვლის წერტილია 90-იანი წლების დასაწყისი, თუმცა უმეტესობა 2000-იან წლებში დაფუძნდა. უპირველესად, 1992 წელს, ავსტრიაში შეიქმნა ვენის გაერთიანებული ინსტიტუტი - Joint Vienna Institute (JVI), რომელიც ერთადერთი რეგიონული ცენტრია ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში. მან უკვე 40,000-ზე მეტი საჯარო მოხელე დაატრენინგა და ორგანიზაციას ძირითადად აფინანსებს ავსტრია,

სსფ და ზოგიერთი წევრი ქვეყანა. აღსანიშნავია, რომ JVI-თან თანამშრომლობის საფუძველზე სსფ-მ და საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ წამოიწყეს „საქართველოს ტრენინგ-პროგრამა“, რომელმაც კავკასიისა და ცენტრალური აზიის 8 ქვეყანა მოიცვა.

ყველაზე ბოლოს, 2017 წელს კი აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში შეიქმნა ორი ახალი ცენტრი, ინდოეთში - „სამხრეთ აზიის რეგიონული ტრენინგისა და ტექნიკური დახმარების ცენტრი (SARTTAC) და ჩინეთში - „ჩინეთი-სსფ-ის შესაძლებლობების განვითარების ცენტრი (CICDC).

სსფ-ის ძალისხმევა შესაძლებლობების განვითარებისთვის არის მოთხოვნებზე ორიენტირებული, ანუ მისი ინიცირება ხდება წევრი სახელმწიფოების მოთხოვნის საფუძველზე. გლობალურმა ეკონომიკურმა გამოწვევებმა და საერთაშორისო საზოგადოების მისწრაფებამ მიაღწიოს მდგრადი განვითარების მიზნებს, გაზარდა აღნიშნული მოთხოვნა და მომავალში ეს კიდევ უფრო გაიზრდება. უკანასკნელ ხანებში სსფ-მ შესაძლებლობების განვითარების კუთხით ყველა, 189 წევრი სახელმწიფოს მხარდაჭერა უზრუნველყო.

სსფ-ის ზემოაღნიშნულ ინიციატივებს ერთობლივად აფინანსებენ სსფ, გარე პარტნიორები - როგორც ცალკეული სახელმწიფოები ისე ორგანიზაციები (მაგ: იაპონია და ევროკავშირი), წევრი და მასპინძელი ქვეყნები. აღსანიშნავია, რომ პარტნიორების მხრიდან დაფინანსება ცენტრების ბიუჯეტების დაახლოებით ნახევარს შეადგენს. ისინი დაფინანსებას ახდენენ როგორც რეგიონული ცენტრების ან ორმხრივი პროგრამების მეშვეობით, ასევე თემატური ფონდების/დონორების გავლით, რომლებიც სპეციალიზებულნი არიან ამა თუ იმ დარგში. ესენია მაგ.: „ფინანსური სექტორის სტაბილურობის ფონდი“ (FSSF), ფულის გათეთრებასა და ფინანსურ ტერორიზმთან ბრძოლის ფონდი (AML/CFT).

რეგიონული მიდგომა იძლევა ქვეყნებში არსებულ საჭიროებებზე და ახალ გამოწვევებზე მყისიერი თუ დროული რეაგირების საშუალებას. ადგილობრივი რეგიონული ცენტრების მეშვეობით ასევე შესაძლებელი ხდება უფრო მჭიდრო კოორდინაცია მთავრობებთან, პარტნიორებთან და დაინტერესებულ მხარეებთან, რეგიონული ინტეგრაციის ხელშეწყობა, რეგიონისათვის დამახასიათებელი პრობლემების აღმოფხვრა, ტრენინგების მორგება კონკრეტულ ქვეყანაზე, რომელსაც საკუთარი საჭიროებები და პრიორიტეტები აქვს და სურს მიაღწიოს მდგრადი განვითარების მიზნებს (SDGs).

შესაძლებლობების განვითარების მანდატი მჭიდროდ არის დაკავშირებული სსფ-ის 2 დანარჩენ მანდატთან - დაკვირვება და დაკრედიტება. შესაძლებლობების განვითარებით მიღებული ძლიერი ეკონომიკური პოლიტიკა საშუალებას იძლევა მეტად იქნას გაგებული სსფ-ის რეკომენდაციები ქვეყანაში, ინსტიტუტები იყვნენ გლობალური ინოვაციებისა და რისკების საქმის კურში და ეხმარება მათ სათანადო რეაგირება მოახდინონ კრიზისულ გამოწვევებზე. თავის მხრივ, დაკვირვებისა და დაკრედიტების ფუნქციებით შესაძლოა ქვეყანაში აღმოჩენილ იქნას ის სფეროები, რომლებშიც შესაძლებლობების განვითარების აქტივობები იქნება ყველაზე შედეგიანი და პროდუქტიული.

სსფ-ს აქვს მონიტორინგისა და შეფასების სისტემები, რითაც უზრუნველყოფს შესაძლებლობების განვითარების აქტივობების შედეგიანობას. შესაძლებელია მოხდეს სხვადასხვა ტექნიკური დახმარებისა და ტრენინგის ეფექტურობის გაზომვა და შედარება, მაგალითად, რამდენად გააუმჯობესა გაწეულმა ტექნიკურმა დახმარებამ ქვეყნის

მაკროეკონომიკური სტაბილურობა, საჯარო ფინანსების მართვის სისტემები, ეკონომიკური სტატისტიკის ხარისხი; რამდენად გაუმჯობესა ჩატარებულმა ტრენინგმა ხელისუფლების წარმომადგენლების საქმიანობა და მათი უნარი გააანალიზონ ეკონომიკური პროცესები, ა.შ.

---

[i] რეგიონული ცენტრები:

<u>აფრიკა:</u>

1. სამხრეთ აფრიკის ტექნიკური დახმარების ცენტრი (AFRITAC South)
2. ცენტრალური აფრიკის ტექნიკური დახმარების ცენტრი (AFRITAC Central)
3. აღმოსავლეთ აფრიკის ტექნიკური დახმარების ცენტრი (AFRITAC East)
4. დასავლეთ აფრიკის ტექნიკური დახმარების ცენტრი (AFRITAC West)
5. დასავლეთ აფრიკის ტექნიკური დახმარების ცენტრი 2 (AFRITAC West 2)
6. აფრიკის ტრენინგების ინსტიტუტი (ATI)

<u>აზია-წყნარი ოკეანე:</u>

7. წყნარი ოკეანის ტექნიკური დახმარების ცენტრი (PFTAC)
8. სინგაპურის რეგიონული ტრენინგების ინსტიტუტი (STI)
9. ტაილანდის ტექნიკური დახმარების ოფისი (TAOLAM)
10. სამხრეთ აზიის რეგიონული ტრენინგების და ტექნიკური დახმარების ცენტრი (SARTTAC)
11. ჩინეთ-სსფ-ის შესაძლებლობების განვითარების ცენტრი (CICDC)

<u>შუა აღმოსავლეთი:</u>

12. შუა აღმოსავლეთის რეგიონული ტექნიკური დახმარების ცენტრი (METAC)
13. შუა აღმოსავლეთის ეკონომიკური და ფინანსური ცენტრი (CEF)

<u>ევროპა და ცენტრალური აზია:</u>

14. ვენის გაერთიანებული ინსტიტუტი (JVI)

დასავლეთ ნახევარსფერო (ლათინური ამერიკა):

15. კარიბის რეგიონული ტექნიკური დახმარების ცენტრი (CARTAC)
16. ცენტრალური ამერიკის, პანამის და დომინიკელთა რესპუბლიკის ტექნიკური დახმარების ცენტრი (CAPTAC-DR)
17. ლათინური ამერიკის ერთობლივი რეგიონული ტრენინგების ცენტრი (BTC)